

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



ახალი სამაგისტრო პროგრამები კატეგორი

2021 სასწავლო წელი

აკადემიის შესახებ


დღეისათვის აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების თავსებადი განათლებას მიღების, იუნეკრების/მსმენელების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, უმაღლესი სამეთაურო სკოლა, ენობრივი მომზადების სკოლა, საბაკალავრო პროგრამა, სამაგისტრო პროგრამა, კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სამხედრო და ტექნიკური, ასევე სამეცნიერო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მონწველი პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, რუსული ენები და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/მსმენელები /აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებს ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით. ასევე უზიარებს ცოდნა-გამოცდილებას.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100% იან დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნკერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში წარმატების შესაბამისად.



რეჟიმორის მისაღება



აკადემიის რეჟიმორი ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ასევე ფუნქციონირებს უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აკადემია ავტორიზებულია და პროგრამები აკრედიტებულია სსიპ-საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აკადემიაში სწავლით თქვენ გექმდებოდა უნიკალური შანსი გახდეთ სამხედრო-საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამავდროულად მიიღოთ უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

აკადემიაში თქვენ დაგხვდებათ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ განავითაროთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ამასთანავე კარგად გაიცნოთ ერთმანეთი და გამორჩეულ გუნდთან ერთად დადგეთ ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე. აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან თითოეულ თქვენგანს აუცილებლად ექნება განცდა იმისა, რომ აკადემია არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს სამშობლოს დამცველი, სადაც ფასდება თითოეული ახალგაზრდის ნიჭი, შემართება და მოტივაცია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მოხვედით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. იცოდეთ, რომ პირადად მე და აკადემიის სრული პირადი შემადგენლობა, ყოველთვის მხარს დაგიჭერთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად გამოყენებაში.

ჩვენი საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერებზე და მსმენელებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე, სადაც მოღვაწეობენ უდიდესი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები და პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ, იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა, მისი ძირითადი საფუძვლების სწავლება, სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და აკადემიური განათლების მიცემა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მიზანია.

პირადად ჩემთვის უდიდეს პატივს წარმოადგენს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის თანამდებობაზე სამსახური. ჩვენ აკადემიის სამეთაურო რგოლი, აკადემიის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებულად ვაყალიბებთ იუნკერთა და მსმენელთა აღზრდას, აკადემიური მოსწრებისა და ლიდერობის განვითარების კულტურას, რაც წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

აკადემიის სტუდენტები ატარებენ "იუნკერის" სახელს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულება საკუთარი ქვეყნისა და იმ ახალგაზრდა ვაჟუცების წინაშე, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში საკუთარი მკერდით, გმირულად დაიცვეს სამშობლო კოჭორბაბახმელას მისადგომებთან.

ჩვენი წმინდა ვალდებულება, ვიყო ერთგულნი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზეარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელი სისოვნისა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მისაღება მინდა დავამთავრო პირველი ქართული სამხედრო სკოლის უფროსის, საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის იუნკერებისადმი მოწოდებით: "დაე მუდამ თქვენთან იყოს გამარჯვება".

გისურვებთ წარმატებებს, გვფარავდეს ღმერთი!

პატივისცემით,

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე.

აკადემიის ხელმძღვანელი პირები



აკადემიის რეჟისტრის
პირველი მოადგილე
პულკოვნიკი
ლევან ქავთარაძე



აკადემიის რეჟისტრის მოადგილე
შტაბის უფროსი
პულკოვნიკი
ივანე გვრიტიშვილი



აკადემიის რეჟისტრის
მოადგილე
პულკოვნიკი
დავით რაზმაძე



აკადემიის სერჟანტი
მთავარი სერჟანტი
უჩა დავითური



ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სერჟანტთა კორპუსი
აკადემიის ხელმძღვანელობასთან ერთად
"მუდამ სამშობლოს სამსახურში"



უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საბანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის აუცილებლობის დასაბუთება

თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს თავდაცვის ძალები და საქართველოს უსაფრთხოების სახელმწიფო სექტორი, დღის წესრიგში აყენებს ისეთი პროფესიონალების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ღრმა, სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები უსაფრთხოების კვლევების სპეციალიზაციით, შეეძლებათ ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა. კრიზისების მართვის ერთიანი, მოქნილი, მუდმივმოქმედი და ეფექტიანი სისტემის არსებობისთვის მზადყოფნა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით შეეძლებათ უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირება და თავიდან აცილება, ხოლო კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში – მისი ნეგატიური შედეგების უმოკლეს დროში ლიკვიდაცია ან მინიმუმამდე შემცირება. უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით თავდაცვითი შესაძლებლობების ახალ გამოწვევებთან შეთავსება

მისანიჭებელი ხარისხი

უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი

მაგისტრატურის ხელმძღვანელი - იოსებ ჯაფარიძე
ijaparidze@eta.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ აგლაძე
agladzezurab@gmail.com

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენებით, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები (ოფიცრები, მკვლევრები, ანალიტიკოსები, უსაფრთხოების სპეციალისტები და ა.შ.) თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისთვის, რომლებიც ფლობენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების სიღმისეულ ცოდნას, არსებული გამოწვევების კვლევისა და ანალიზის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.

სამაგისტრო პროგრამა იძლევა საფუძვლიან ცოდნას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და წარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების, სახელმწიფოს მართვის სისტემაში უსაფრთხოების სისტემის როლისა და არჩეიტეტურის, ფუნდამენტური დოკუმენტების, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და გადანყვებილების მიღების პროცესის შესახებ.

დასაქმების სფეროები

- სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში.
 - უსაფრთხოების სექტორში.
 - საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სამთავრობო უწყებებსა და ორგანიზაციებში კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციებზე, რომლებსაც სჭირდებათ ექსპერტული ცოდნა უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებთან და თავდაცვის მიმართულებებთან დაკავშირებით.
- თავდაცვის სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც:
- კვლევით და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებში.
 - კონტრტერორისტულ პოლიტიკაში.
 - კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა.
 - კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

მიღებული ცოდნა

კურსდამთავრებული:

- სისტემურად აღწერს, ფლობს და იაზრებს უსაფრთხოების კვლევის კონცეფციებსა და თეორიებს;
- აცნობიერებს და იაზრებს თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების გარემოს, მის თავისებურებებს, განვითარების პერსპექტივებს, ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს;
- კრიტიკულად იაზრებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და კონცეფციებს;
- ადგენს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და კონცეფციებს შორის ურთიერთკავშირს;

გამომუშავებული უნარები

კურსდამთავრებული:

- აანალიზებს თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკას, მის დაგეგმვაში იღებს აქტიურ მონაწილეობას და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას ამ მიმართულებით;
- აფასებს თანამედროვე ცვალებადი უსაფრთხოების გარემოს, უზრუნველყოფს დასახული ამოცანების განხორციელებას ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენებით;
- აანალიზებს სწრაფად ცვალებად გარემოში არასრული ინფორმაციული სურათის პირობებს, იღებს კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორ და ლოგიკურად არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს;
- არგუმენტირებულად განიხილავს, აფასებს და სიდრმისეულად აანალიზებს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების ძირითად პრინციპებს;
- ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობის განვითარებას ეროვნული უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციებითა და ინიციატივებით;
- საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონაწილეობას იღებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორის უწყებების სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავებაში.

სასწავლო კურსები | სემესტრი

საგაღმდებულო სასწავლო კურსი

სტრატეგიის საფუძვლები - კურსის მიზანია იუნვერებს გააცნოს სტრატეგიის საფუძვლები და მისი გამოყენება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ჭრილში.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები - კურსის მიზანია იუნვერებმა შეისწავლონ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სოციალური მეცნიერების, განვითარების პროცესი, საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზის ძირითადი მიდგომები და თეორიული სკოლები.

საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა - კურსის მიზანია საქართველოს პოლიტიკური და თავდაცვის პოლიტიკის ორიენტირების განხილვა და ანალიზი;

აკადემიური წერა - კურსის მიზანია იუნვერები დაეუფლონ აკადემიური და პროფესიული წერისა და მეტყველების მთავარ პრინციპებს.

არჩევითი სასწავლო კურსი

საერთაშორისო კონფლიქტები და „არშემდგარი სახელმწიფოები“ - კურსის მიზანია შეუქმნას იუნვერებს წარმოდგენა მიმდინარე და „გაყინულ“ კონფლიქტებზე, ასევე „არშემდგარ“ სახელმწიფოებზე.

საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი - სასწავლო კურსის მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარების მიმართულებების გავლენის გაცნობიერება, თანამედროვე საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევაზე ადაპტაცია და სათანადო რეაგირება.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა - კურსის მიზანია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წარსულსა და აწმყოში მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შესახებ ცოდნის მიღება.

ევროპის უსაფრთხოება - კურსის მიზანია იუნვერებს გააცნოს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური დისციპლინა

სასწავლო კურსები II სემესტრი

საგაღდეგულო სასწავლო კურსი

დაზვერვის საფუძვლები - კურსის მიზანია იუნკერებმა გაიაზრონ დაზვერვის ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში, ამ საქმიანობის სპეციფიკა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა - კურსის მიზანია იუნკერებს შესძინოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სიღრმისეული ცოდნა, მისი ფორმირების და წარმართვის კრიტიკულად გაანალიზების უნარი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა - კურსის მიზანია იუნკერებმა შეძლონ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დეტერმინანტების, ვექტორების და მახასიათებლების განხილვა.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება - სასწავლო კურსის მიზანია იუნკერებს მისცეს შესაბამისი ცოდნა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ.

არჩევითი სასწავლო კურსი

ტერორიზმი - სალექციო კურსის მიზანია გააცნოს იუნკერს საერთაშორისო ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები, იდეოლოგიური საფუძვლები, მიზნები და მოქმედების მეთოდები.

ეკონომიკური უსაფრთხოება - კურსის მიზანია დაეხმაროს იუნკერებს ქვეყნის მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური მდგრადი განვითარების როლის გაცნობიერებაში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - კურსის მიზანია იუნკერებმა შეძლონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვადასხვა საკითხების ეფექტურად დამუშავება.

სამშვიდობო მისიების დაგეგმარება - პროექტის მენეჯმენტი და ამოცანები - კურსის მიზანია იუნკერებმა გაიაზრონ კონფლიქტების არსი, მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

სასწავლო კურსები III სემესტრი

საგაღდეგულო სასწავლო კურსი

სახელმწიფო უსაფრთხოება - კურსის მიზანია იუნკერებს გააცნოს ეროვნული უსაფრთხოება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური დისციპლინა.

კვლევის მეთოდები - კურსის მიზანია იუნკერებს შეასწავლოს კვლევის მეთოდები და დიზაინი, რათა მათ შეძლონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვა.

ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა - კურსის მიზანია იუნკერს გადასცეს ცოდნა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სექტორის, მისი შემადგენელი კომპონენტებისა და ფუნქციების შესახებ.

ჰიბრიდული ომი - კურსის მიზანია შეასწავლოს იუნკერებს თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების სპეციფიკა და მათი გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

არჩევითი სასწავლო კურსი

გეოეკონომიკა - კურსის მიზანია იუნკერს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის ზოგადი კონტურების, გეოეკონომიკური ომების არსის შესახებ და განუვითაროს პრობლემების ანალიზის და მათი გადაჭრის გზების უნარი

კონფლიქტის ფსიქოლოგია - კურსის მიზანია იუნკერს მისცეს ცოდნა კონფლიქტის არსის და მისი ძირითადი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

სამშვიდობო პროცესების საფუძვლები - კურსის მიზანია იუნკერებისთვის სამშვიდობო პროცესების თავისებურებებისა და პრობლემატიკის გაცნობა.


ცივი ომი - კურსის მიზანია იუნკერს ჩამოუყალიბოს ცივი ომის, როგორც მსოფლიოში მიმდინარე ერთიანი ისტორიული და სამხედრო-პოლიტიკური პროცესის ცოდნა, მისი მთლიანი ხედვა.

სასწავლო კურსები IV სემესტრი

სავალდებულო სასწავლო კურსი

სამაგისტრო ნაშრომი - სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის გამომუშავება, სწავლის პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების -არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარების და ზოგადად პრობლემის ხედვისა თუ შეფასების შესაძლებლობების სრულყოფა.

სამაგისტრო პროგრამების სფეროები



სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საბანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის აუცილებლობის დასაბუთება

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უწყებების და კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროს, განსაკუთრებით ეს ვლინდება ომიანობის და კრიზისების შემთხვევაში. თავისთავად ეროვნული უსაფრთხოება შედგება შიდა და საგარეო პოლიტიკის, სამხედრო ძალის, კიბერუსაფრთხოების და აღნიშნული მიმართულებების რესურსებით უზრუნველყოფისაგან.

ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო რესურსები ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაზე და მოიცავს მატერიალურ რესურსებს, ფინანსურ რესურსებს, ადამიანურ რესურსებს, ქვეყნის სამრეწველო და ინდუსტრიულ ბაზას, რაც ერთობლიობაში შეადგენს სახელმწიფო რესურსებს.

ეკონომიკური ინსტრუმენტები, როგორიც არის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საბაზრო პოლიტიკა, ანტიკორუფციული ღონისძიებები, სტრატეგიული სახელმწიფო შესყიდვები და ეროვნული ეკონომიკის სექტორების განვითარების სტრატეგია, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

აღნიშნული მიმართულებით, სტრატეგიული დონეზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რომლებიც პირდაპირ ან/და ირიბად ჩართულები არიან სახელმწიფო რესურსების მართვის კუთხით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მნიშვნელოვნად აფერხებს ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის მართვის პროცესს. გამომდინარე აქედან სახელმწიფო სტრუქტურების განვითარების და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესი დიდი გამოწვევების წინაშე დგას და მოითხოვს სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას უმოკლეს ვადებში, რაც ასევე წარმოადგენს თავდაცვის ძალების განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ქვეყნის ტოტალური თავდაცვის კოცეფციის ინსტიტუციო-ნაღიზაციის პროცესში.

მისანიჭებელი ხარისხი

საჯარო მმართველობის მაგისტრი

მაგისტრატურის ხელმძღვანელი: იოსებ ჯაფარიძე
ijaparidze@eta.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი კბილცეცხლაშვილი
gkbiltsetskhlashvili@eta.edu.ge

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის სფეროს სტრატეგიული დონისთვის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება.

დასაქმების სფეროები

- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების რესურსების მართვის სფეროს მმართველ რგოლებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსი, უწყების ხელმძღვანელის მოადგილე რესურსების დარგში).
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების რესურსების მართვის სფეროს მრჩეველის თანამდებობაზე (პრეზიდენტის მრჩეველი, პარლამენტის წევრის ან საპარლამენტო კომიტეტის მრჩეველი, მინისტრის მრჩეველი, თავდაცვის ძალების მეთაურის მრჩეველი და ა.შ.), იქ სადაც საჭიროა ექსპერტული ცოდნა ეროვნული რესურსების მართვაზე.
- სამოქალაქო სექტორში იმ ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია რესურსების სფეროს დაგეგმვასა და აღსრულებაში, ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებში, რესურსების სტრატეგიულ დაგეგმვაში და სხვა.
- როგორც რესურსების მართვის სფეროს ექსპერტებს კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების კვლევებში, შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია სახელმწიფო რესურსების მართვაზე.

კურსდამთავრებული:

- სისტემურად აღწერს ეროვნული უსაფრთხოების პრინციპებსა და კონცეფციებს;
- ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი გავლენის მექანიზმებს;
- კრიტიკულად აცნობიერებს დაგეგმვა, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის არქიტექტურის, მომარაგების ჯაჭვის შექმნის, მოქმედებისა და კონტროლის, ასევე სტრატეგიული სახელმწიფო შესყიდვების პრინციპებსა და მექანიზმებს;
- აცნობიერებს სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და ადამიანური რესურსების მართვის ძირითად თანამედროვე პრინციპებს.
- ახდენს ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას კომპლექსურ პრობლემათა იდენტიფიცირებას და აღწერას.

გამომუშავებული უნარები

კურსდამთავრებული:

- აწარმოებს ეროვნული და უწყებრივი სტრატეგიული ანალიზს და ქმნის მომავალი სამოქმედო გარემოს კონცეფციას, ასევე ეროვნული უსაფრთხოების და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიების რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიას და აკონტროლებს მათი აღსრულების პროცესს;
- პრაქტიკაში იყენებს დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემაში მუშაობის უნარ ჩვევებს, ასევე მონაწილეობს ეროვნული სტრატეგიული შესყიდვების პროგრამის შედგენის, მართვისა და კონტროლის პროცესში;
- აფასებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და კოორდინაციას უწევს აღნიშნული სფეროს განვითარების დაგეგმვას, განხორციელებასა და კონტროლს;
- ახალი მიდგომების გამოყენებით ორგანიზებას უწევს ორგანიზაციაში არსებული ეფექტიანობის მართვის ელემენტების განვითარებას, მათი გაუმჯობესების გზების დაგეგმვას, აღსრულებასა და კონტროლს;
- ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას ახდენს კომპლექსურ პრობლემათა შეფასებას, პოლიტიკის მიზნების განსაზღვრას, შედეგების პროგნოზირებასა და შეფასებას.
- საქართველოს ეკონომიკის სექტორულ ანალიზს, შეფასებას და აღნიშნული სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ კვალიფიციური და ინოვაციური რეკომენდაციების შემუშავებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.

სასწავლო კურსები | სემესტრი

საგაღდეგულო სასწავლო კურსი

აკადემიური წერა - კურსის მიზანია იუნკერებში აკადემიური წერის უნარ-ჩვევების განვითარება.

კვლევის მეთოდები - კურსის მიზანია იუნკერებს შეასწავლოს კვლევის მეთოდები და დიზაინი, რათა მათ შეძლონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვა

სახელმწიფო მონყობა და ეროვნული უსაფრთხოება - კურსი გამიზნულია ქვეყნის მონყობის საფუძვლებისა და იმ საფრთხეების შესასწავლად რომლებიც გამომდინარეობს დემოგრაფიული, სოციალური, ფიზიკური, სამედიცინო და სხვა პრობლემებიდან.

ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა - განიხილავს მაკროეკონომიკის საკითხებს და მათ ზეგავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე (ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ინფლაცია, უმუშევრობა და ა.შ.)

არჩევითი სასწავლო კურსი

მომარაგება და მიწოდების ჯაჭვის მართვა - კურსი განიხილავს მომარაგებისა და მიწოდების ქსელებისა და ჯაჭვების დაგეგმვას, შექმნას, მათი მუშაობის კოორდინაციასა და კონტროლს და ყველა ამ პროცესების ანალიზს.

საერთაშორისო კონფლიქტები და „არშემდგარი სახელმწიფოები“ - კურსი განიხილავს „არშემდგარი სახელმწიფოს“ მცნებას, მის მახასიათებლებსა და იმ პირობებს რომლებსაც მიყავს სახელმწიფოები ამ მდგომარეობამდე, ასევე ამ პროცესებში საერთაშორისო კონფლიქტების როლს.

დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი - კურსი განიხილავს ინფორმაციის დაგეგმვის, მოპოვებისა და ანალიზის პროცესებს.

სასწავლო კურსები II სემესტრი

საგაღდეგულო სასწავლო კურსი

სტრატეგიული ლიდერობა - კურსი განიხილავს სტრატეგიული მართვის საკითხებს როგორც კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გუნდის შექმნა და განვითარება, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება, ორგანიზაციისთვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და ა.შ.

სტრატეგიული კომუნიკაცია - კურსი განიხილავს საინფორმაციო კამპანიის სტრატეგიის შექმნის, შეფასებისა და აღსრულების პროცესებს, სტრატეგიული კომუნიკაციის პრინციპებს და პროცედურებს, ასევე საინფორმაციო კამპანიების ზეგავლენას პროგრამების, პროექტებისა და ოპერაციების წარმოებაზე.

ინდუსტრიის ეკონომი - კურსი განიხილავს მიკროეკონომიკის საკითხებს და მათ ზეგავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე (ფირმების პოლიტიკა და მასზე სახელმწიფოს ზეგავლენა, ბაზრები, პოლიტიკა ეკონომიკის მავნე ზეგავლენის საწინააღმდეგოდ (ჰაერის დაბინძურება, გლობალიზირი დათბობა და ა.შ.), ფირმების საქმიანობის ანალიზი)

დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება - კურსი განიხილავს სტრატეგიული დონის მართვის (ძალების, საშუალებებისა და მომავალი მოქმედებების დაგეგმვა, გეგმების პროგრამებათ განერა, პროგრამების და მათი ბიუჯეტების ინტეგრირება, პროგრამების აღსრულების მართვა, კონტროლი და ანალიზი) და სტრატეგიული სახელმწიფო შესყიდვების პრინციპებსა და პროცედურებს.

არჩევითი სასწავლო კურსი

სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი - კურსი განიხილავს სტატისტიკის ინსტრუმენტებს მონაცემთა ანალიზისთვის, სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მათი წარმოების კონტროლს და წარდგენის მეთოდებსა და ფორმებს.

სამშვიდობო მისიების დაგეგმარება - პროექტის მენეჯმენტი და ამოცანები - კურსის ანიხილავს სამშვიდობო მისიების დაგეგმვისა და პროგრამირების პროცესს, ამ მისიების უზრუნველყოფასა და უზრუნველყოფის კონტროლს, ასევე მისიების ეფექტურობის შეფასებას (ოპერატიული შეფასება, უზრუნველყოფის შეფასება და ფინანსური ეფექტურობის შეფასება).

საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი - განიხილავს საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების სტრუქტურას, ამოცანებსა და მიმდინარე პროექტებს, ასევე მათ ზეგავლენას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

სასწავლო კურსები III სემესტრი

საგაღმადგამლო სასწავლო კურსი

სტრატეგიული სწავლება - „სახელმწიფო მართვა მშვიდობიანობის, კრიზისების და ომიანობის დროს“ - კურსიგამოზნულია მსმენელებში პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის სტრატეგიული დონის რესურსების მართვის პროცესში მშვიდობიანობის, კრიზისებისა და ომიანობის დროს (მომავალი სამოქმედო გარემოს დოკუმენტის, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის, საფრთხეების შეფასების დოკუმენტის და რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიის შექმნა. ამის გარდა სწავლების სცენარის პრაქტიკული გათამაშებისას რესურსებით უზრუნველყოფაზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა, მიღება და ანალიზი).

კიბერუსაფრთხოება - კურსი განიხილავს საკითხებს რომელიც შეეხება კიბერ სივრცეს (კიბერუსაფრთხოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და სისტემების დაცვა (საბანკო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო სფეროები, სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობა კიბერსივრცეში და ა.შ.), კიბერსივრცეში ჰაკერული შეტევებისაგან და მავნე ინფორმაციის გავრცელებისაგან დაცვა, კიბერშეტევა მონინალმდევის შესაბამისობიექტებზე)

საქართველოს ეკონომიკის სექტორების ანალიზი - კურსი გამიზნულია მსმენელებისთვის საქართველოს ეკონომიკის სექტორების გაცნობისა და ანალიზისთვის, ამ სექტორების განვითარების პერსპექტივების განხილვისათვის.

სისტემის ეფექტურობის შეფასება და აუდიტი - კურსი განიხილავს სისტემის (პროექტის, პროგრამის, სფეროს, ორგანიზაციის) ეფექტურობის შეფასებას (საბოლოო შედეგის მიღწევა, ფინანსური ეფექტურობა, სამოქმედო პროცედურების ეფექტურობა, პერსონალის ეფექტურობა და ა.შ.) და აუდიტს, ამ შეფასებისთვის და აუდიტისთვის მოთხოვნებისა და ამოცანების განსაზღვრას, შემფასებელთა ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრასა და შეფასების ანალიზს.

სასწავლო კურსები III სემესტრი

არჩევითი სასწავლო კურსი

საჯარო ფინანსები - კურსი განიხილავს საჯარო ფინანსების დაგეგმვის, პროგრამირებისა და ფინანსების კონტროლის პრინციპებსა და პროცედურებს და მათ ზეგავლენას ზოგადათ ეროვნულ უსაფრთხოებაზე და კერძოთ ეროვნულ ეკონომიკაზე.

სტრატეგიის კურსი - კურსი არსებული სტრატეგიების მაგალითებზე განიხილავს სტრატეგიის შეფასებას, შექმნასა და აღსრულებას.

რეგიონალური უსაფრთხოება - კურსი განიხილავს ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო ასპექტებს და მათი რესურსებით უზრუნველყოფას.

სასწავლო კურსები IV სემესტრი

სავალდებულო სასწავლო კურსი

სამაგისტრო ნაშრომი - სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის გამომუშავება, სწავლის პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების - არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარების და ზოგადად პრობლემის ხედვისა თუ შეფასების შესაძლებლობების სრულყოფა.



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია